

## **ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2015 წლის პროგრამები ჯანდაცვა**

### **ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა**

პროგრამით გათვალისწინებულია:

ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (319 ბენეფიციარი), ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (310 ბენეფიციარი), მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (1540 ბენეფიციარი), პარკინსონით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (75 ბენეფიციარი).

ქვეპროგრამის გარეგნულ მხარეებში მედიკამენტები მიეწოდება: 79 ბრონქული ასთმით დაავადების მქონე 19 წლამდე ასაკის პირებს, 240 0-100000 მდე სარეიტინგო ქულის მქონე, შშმ პირებსა და ასაკით პენსიონერებს. ეპილეფსიით დაავადებულ 19 წლამდე ასაკის 140 პირს. 170 0-100000 მდე სარეიტინგო ქულის მქონე, შშმ პირსა და ასაკით პენსიონერებს. 1540 მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პირებს : 0-დან 100 000 ქულის მქონე, შ.შ.მ. პირებსა და ასაკით პენსიონერებს. 75 პარკინსონით დაავადებულ 0-დან 100 000 ქულის მქონე, შ.შ.მ. პირებსა და ასაკით პენსიონერებს.

### **ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობა**

პროგრამით გათვალისწინებულია:

35-დან 40 წლამდე და 70 წლის ზემოდ ქ. ბათუმში რეგისტრირებული ქალებისათვის მამოლოგის კონსულტაცია და მამოგრაფია. (400 ბენეფიციარი), ქ. ბათუმში რეგისტრირებული ქალებისათვის ონკო მარკერებით გამოკვლევა; საშვილოსნოს, საკვერცხეების, მკერდის, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით. (700 ბენეფიციარი), 25-დან 70 წლამდე ასაკის ქალებისათვის საშვილოსნოს ყელის დათვალიერება, კოლპოსკოპია და ექსკოპია (800 ბენეფიციარი), საშვილოსნოს ყელის დაზიანების (დისპლაზიის, ექტოპიის) ოპერაციული მკურნალობა (100 ბენეფიციარი), 50-დან 70 წლამდე ასაკის მამაკაცებისათვის, რომელსაც აქვთ PSA მონიტორინგული რაოდენობა სისხლში უროლოგის უფასო კონსულტაცია (200 ბენეფიციარი), 45-დან 70 წლის ზემოდ მამაკაცებისათვის, PSA განსაზღვრა სისხლში 200 ერთეული.

პროგრამის ფარგლებში ისარგებლებენ ქ. ბათუმში რეგისტრირებული შესაბამისი ასაკის ბენეფიციარები პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში.

### **მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობისა და ახალშობილთა აუდიოლოგიური სკრინინგი**

პროგრამით გათვალისწინებულია:

თანდაყოლილი ამოვარდნილობის და დისპლაზიის მკურნალობა (170 ბავშვი), ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა (4500 ბავშვი).

თანდაყოლილი ამოვარდნილობის და დისპლაზიის მკურნალობის ქვეპროგრამით ისარგებლებს ქ. ბათუმში რეგისტრირებული 170 ერთ წლამდე ასაკის ბავშვი; აუდიოლოგიური სკრინინგის მომსახურებით ისარგებლებს ქ. ბათუმში დაბადებული 4500 ახალშობილი.

### **ქ. ბათუმში მცხოვრებ ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია**

პროგრამით გათვალისწინებულია:

ერგოთერაპია (შრომითი თერაპია) - ერგოთერაპეუტების დახმარებით ხდება უნარ-შესაძლებლობების - ხატვა, ქარგვა, ძერწვა და ა.შ. გამოვლენა, მუსიკის მოსმენისა და საინტერესო ვიდეომასალის ნახვის შემდეგ ხდება მათი შთაბეჭდილებების, ემოციებისა და ხასიათების გამოვლენა; ფსიქოლოგი და ფსიქიატრი ინდივიდუალურად იკვლევს თითოეული პირის ფსიქო-ანალიტიკურ თავისებურებებს, ავლენს ქცევით დარღვევებს და ეხმარება ამ პირებს სოციალურ ადაპტაციაში.

პროგრამით ისარგებლებენ ქ. ბათუმში რეგისტრირებული 18 წლის ასაკის ზემოდ შეზღუდული შესაძლებლობის ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები.

**სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება**

პროგრამით გათვალისწინებულია:

უფასო სასადილოებისა და ნავთობგადამამუშავებელი ტერმინალის უფასო სასადილოს ბენეფიციარებისთვის სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება.

**ქ. ბათუმში მცხოვრებ ჰემოდალიზის ცენტრის პაციენტთა სატრანსპორტო კომპენსაციით უზრუნველყოფა**

პროგრამით გათვალისწინებულია:

კომპენსაციის გაწევა ყოველთვიურად, შემოერთებული ტერიტორიების მცხოვრებთათვის (25 პირი) 70 ლარის ოდენობით.

კომპენსაციის გაწევა ყოველთვიურად, რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს და ვია-ვიატას ქალაქ ბათუმში მცხოვრები პაციენტებისთვის (80 პირი) 50 ლარის ოდენობით.

**ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა**

პროგრამით გათვალისწინებულია:

18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისთვის მატერიალური დახმარება - კომპენსაციის გაცემა 1600 ლარის ოდენობით.

18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისთვის მატერიალური დახმარება - კომპენსაციის გაცემა 3000 ლარის ოდენობით

**ქ. ბათუმში მცხოვრებ მწვავე ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება**

პროგრამით გათვალისწინებულია:

მ. იაშვილის სახ. ბავშვთა საავადმყოფოს ონკო-ჰემატოლოგიურ დეპარტამენტში დაცვით თერაპიაზე მყოფი ქ.ბათუმში მცხოვრები 18 წლამდე ასაკის მწვავე ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის, რომლებიც ყოველთვიურად საჭიროებენ კონსულტაციებს და სხვა სახის გამოკვლევებს ქ. თბილისში, ყოველთვიური კომპენსაცია 200 ლარის ოდენობით.

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაცია**

პროგრამით გათვალისწინებულია:

ცერებრალური დამბლით დაავადებული და ფსიქიკური პრობლემების მქონე 25 წლამდე ასაკის შშმ პირის, 55 თანმხლები პირის ტრანსპორტირება, დასვენების ადგილზე კეთილმოწყობილი საცხოვრებელი უზრუნველყოფა, სამაჯერადი კვება, სამკურნალო მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა, ზღვის პროცედურები 15 დღის განმავლობაში (კურორტი ურეკი).

25 წლამდე ასაკის შშმ და 25 თანმხლები პირის ტრანსპორტირება, დასვენების ადგილზე კეთილმოწყობილი საცხოვრებელი უზრუნველყოფა, სამაჯერადი კვება, კლიმატოთერაპია (კურორტი ბორჯომი). 25 წლამდე ასაკის 15 შშმ და 15 თანმხლები პირის ტრანსპორტირება, ადგილზე კეთილმოწყობილი საცხოვრებელი უზრუნველყოფა, სამაჯერადი კვება, თალასოთერაპია (კურორტი ახტალა).

**C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის თანადაფინანსების პროგრამა**

პროგრამით გათვალისწინებულია:

ქ. ბათუმში მცხოვრებ ბენეფიციართა C ჰეპატიტის დადგენის (ექიმთან ვიზიტი+HCV RNA) დიაგნოსტიკის თანადაფინანსება, ღვიძლის ფიბროზის ხარისხის დადგენა (სისხლის საერთო, ALT, AST), ელასტოგრაფია) თანადაფინანსებით, ბენეფიციართა მკურნალობის კომპონენტში ჩართვამდე საჭირო კვლევების თანადაფინანსება.

**მოხუცებულთა და შშმ პირთა დახმარება და შინმოვლა**

პროგრამით გათვალისწინებულია:

პაციენტთათვის სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება სახლის პირობებში მულტიდისციპლინარული ჯგუფის მიერ - სამედიცინო დახმარებით (პრევენცია, მკურნალობა, რეაბილიტაცია) ყოველდღიურ საქმიანობაში მხარდაჭერა (განათლება, უნარების განვითარება, პერსონალური ჰიგიენის მოწესრიგება), პაციენტებისა და მათი ახლობლების უზრუნველყოფა ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარებით (მხარდაჭერა, ჯანსაღი სოციალური გარემოს შესაქმნელად, ასევე საჭირო სერვისების მისაღებად).

პროგრამით ისარგებლებენ სოციალურად დაუცველი (100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე) საწოლს მიჯაჭვული მოხუცებული და შშმ პაციენტები.

### **სამედიცინო დახმარების კომპონენტი**

პროგრამით გათვალისწინებულია:

მატერიალური დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის - მედიკამენტოზური მკურნალობა არა უმეტეს 200 ლარისა მიმდინარე წლის განმავლობაში ერთხელ. ბენეფიციართა ოპერაციული და ონკო-პაციენტების მკურნალობის თანადაფინანსება - მკურნალობა გარკვეული სქემის მიხედვით. საყოველთაო ჯანდაცვის მიერ დაფინანსებული ოპერაციის და ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის (ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, სხივური თერაპია) სხვაობა შეივსება 100%-მდე. (საყოველთაო დაზღვევით განსაზღვრულ ზღვრულ ტარიფამდე).

### **მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მონიტორინგისა და დიაგნოსტიკის პროგრამა**

პროგრამით გათვალისწინებულია:

მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებული პაციენტებისთვის ექიმ-ენდოკრინოლოგის კონსულტაცია, მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებული პაციენტებისთვის გლიკოზირებული ჰემოგლობინის განსაზღვრა, მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებული პაციენტებისთვის ექიმ-ანგიოლოგის ან ოფთალმოლოგის კონსულტაცია საჭიროების მიხედვით.

### **განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ადრეული რეაბილიტაციის პროგრამა**

პროგრამით გათვალისწინებულია:

განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისთვის მომსახურების კურსის ჩატარება ყოველთვიურად მთელი წლის მანძილზე. შშმებისათვის ტრენინგ-კურსების ჩატარება.

მომსახურება გაეწევა 7 წლამდე ასაკის ქ. ბათუმში 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებულ ბავშვებს შემდეგი პათოლოგიით: დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი და სხვა. პირველ რიგში მომსახურება გაეწევა იმ ბავშვებს, რომლებიც ვერ სარგებლობენ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამით.

### **ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მონიტორინგი და დიაგნოსტიკა**

პროგრამით გათვალისწინებულია:

ბრონქული ასთმით, ასთმური და მორეციდივე ბრონქიტით და ქოლ-ით დაავადებული პაციენტებისათვის ექიმ-ალერგოლოგის კონსულტაცია; ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტებისათვის სპირომეტრიული გამოკვლევა; იმუნოგლობულინის განსაზღვრა სისხლში საჭიროების მიხედვით.

### **სმენის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა**

პროგრამით გათვალისწინებულია:

ქ. ბათუმში რეგისტრირებული 3-დან 12 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია.

სმენის პრობლემების მქონე ბავშვთა ფუნქციური დამოუკიდებლობის გაუმჯობესება და მისი საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

### **ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი**

პროგრამით გათვალისწინებულია:

კალორაჟის განსაზღვრა ბაღებსა და უფასო მუნიციპალურ სასადილოებში, ჩამონაბანის აღება, განათების კოეფიციენტის განსაზღვრა, აუზის წყლის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური კვლევა, სტომატოლოგიური კაბინეტებისა და კოსმეტიკური სალონების ლაბორატორიული მონიტორინგი სტერილობაზე, სადენზიფექციო საშუალებების ქიმიური კვლევა, მუსიკალური ხმაურის განსაზღვრა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში პროდუქტების ლაბორატორიული მონიტორინგი, უფასო მუნიციპალურ სასადილოებში პროდუქტების მონიტორინგი.

### **სანიტარული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიება**

პროგრამით გათვალისწინებულია:

ნაგავამტარების დეზინსექცია თვეში ერთხელ, ნაგავამტარების დეზინსექცია დამატებით, თვეში ორჯერ, მრავალსართულიანი სახლებისა და სადარბაზოების დეზინსექცია თვეში ორჯერ (მაისი-ოქტომბერი), ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია თვეში ერთხელ, ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია თვეში ორჯერ (მაისი-ოქტომბერი), ქალაქის ტერიტორიის დერატიზაცია ყოველთვიურად, იტალიური ეზოების ერთი და ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, ეზოებისა და სარდაფების, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სხვენის დეზინსექცია თვეში ერთჯერ (მაისი-ოქტომბერი).

### **სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მხარდაჭერა**

პროგრამით გათვალისწინებულია შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ სუბსიდირება 770 000 ლარით

### **სოციალური უზრუნველყოფა**

#### **სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა**

2015 წელს იგეგმება მოსარგებლეთა რაოდენობის გაზრდა 3021 ბენეფიციარამდე. ასევე გათვალისწინებულია ერთეულის ფასის გაზრდა (1,70 ლარი) და ცვლილება მენიუში საჭირო კალორაჟის გათვალისწინებით, ბენეფიციართა მოთხოვნილებების შესაბამისად. ამ პროგრამით ისარგებლებენ მოქალაქეები, რომელთაც მონაწილეობა აქვთ მიღებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ და მიენიჭათ 57 000-მდე სარეიტინგო ქულა. მოსარგებლეთა რაოდენობის ზრდასთან ერთად საჭიროებას წარმოადგენს კვების ობიექტის დამატება. ასევე გათვალისწინებული იქნება ბინაზე მომსახურება მარტოხელა ბენეფიციართათვის, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ ადგილზე კვებას.

#### **მკვეთრად გამოხატული შ.შ.მ. პირების შეღავათებით უზრუნველყოფა**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 1500 მკვეთრად გამოხატული შშმ პირის სანდასუფთავების, წყლისა და კანალიზაციის გადასახადით უზრუნველყოფა და 350 მკვეთრად გამოხატული შშმ პირის სააბონენტო გადასახადისგან გათავისუფლება.

#### **ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულთა შეღავათებით უზრუნველყოფა**

პროგრამით გათვალისწინებულია უკვდავყოფისა და სადღესასწაულო დღეების ორგანიზება (მემორიალის შემკობა - 15 თებერვალი, 9 მაისი, 26 მაისი, 27 სექტემბერი), მატერიალური დახმარების გაცემა. ვეტერანთა საზოგადოებისთვის დახმარების გაწევა სუბსიდიის სახით 5000 ლარის ოდენობით. 900 ვეტერანის სააბონენტო, 1700 ვეტერანის სანდასუფთავების, წყლისა და კანალიზაციის გადასახადით უზრუნველყოფა. ახალ წელთან დაკავშირებით 58-II მსოფლიო ომის ვეტერანზე და 17 II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 200 ლარის ოდენობით თითოეულზე. თხევადი აირის ტალონით დახმარება ყოველთვიურად 5კგ ოდენობით გაეწევა 100 ვერენანს, კერძოდ: 1. ვეტერანს რომელსაც არ

გააჩნია კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი . 2. ვეტერანს, რომელსაც მიმდინარე პერიოდისთვის არ აქვს საცხოვრებელი ფართი უზრუნველყოფილი ბუნებრივი აირით.

### **უპოვართა და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა**

აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეთა მოვლა-პატრონობა შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, საყოფაცხოვრებო პირობებით და კვებით. პროგრამით ისარგებლებენ ქ. ბათუმში რეგისტრირებული მარტოხელა და სოციალურად დაუცველ ოჯახთა მზრუნველობას მოკლებული მოხუცები. 2015 წელს მოსარგებლეთა რაოდენობა განისაზღვრება 115 ბენეფიციართ.

### **სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების სოციალური დახმარება**

70000-მდე ქულის მქონე სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედებისათვის სანდასუფთავების მოსაკრებელითა და წყლისა და კანალიზაციის გადასახადით უზრუნველყოფა. 100000 ქულის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახების (სამი და მეტი შვილი), მარტოხელა დედების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა, დაინვალიდებულთა და ომში დაღუპულთა ოჯახის ბავშვების დაფინანსება სახელოვნებო და სპორტულ დაწესებულებებში, 70 000-მდე ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის წევრებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 500 ლარის ოდენობით. ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის კომუნალური გადასახადების და მიმდინარე მცირე ხარჯების დაფარვა. საქველმოქმედო გაზეთის („ნათელი“) დაფინანსება წელიწადში 5400 ლარით.

### **მატერიალური დახმარების გაცემა ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით**

პროგრამით გათვალისწინებულია მატერიალური დახმარება ყოველ მე-3 ბავშვზე 600 ლარის, ყოველ მე-4 ბავშვზე 800 ლარის, ყოველ მე-5 და მეტ შვილზე 1000 ლარის ოდენობით. იმ ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000 ქულას პირველი და მეორე შვილის შეძენისას გაეწევათ ერთჯერადი მატერიალური დახმარება: პირველ ბავშვზე 400 ლარის და მეორე ბავშვზე 500 ლარის ოდენობით.

### **მრავალშვილიანი ოჯახების და უდედმამო ბავშვებისათვის მატერიალური დახმარება**

პროგრამა ითვალისწინებს ქ. ბათუმში მცხოვრებ 5 და 5-ზე მეტი 110 მრავალშვილიან ოჯახის, 30 უდედმამო ბავშვისა და 70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3 და 4 შვილიანი ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების გაწევას წელიწადში ორჯერ.

### **საქალაქო ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველყოფა**

ქ. ბათუმში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი 70000 ქულის მქონე პირების, მასწავლებლების, მოსწავლეების, სტუდენტების, იძულებით გადაადგილებული პირების, შშმ პირების, პენსიონერების, ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობაზე შეღავათებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება განხორციელდება M3 კლასის საქალაქო სამგზავრო ავტობუსით ქალაქის ფარგლებში მგზავრობის საფასურის კომპენსაციის სახით, კერძოდ: 1. ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარების, ვეტერანისა და მათთან გათანაბრებული პირების, 70 000 ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირების, მოსწავლეების, მგზავრობის 100% დაფინანსება; 2. მასწავლებლების, სტუდენტების, იძულებით გადაადგილებული პირების და ასაკით პენსიონერების მგზავრობის 50%-ით დაფინანსება.

### **გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს 150 მკვეთრად გამოხატული საერთო დაავადებისა და მხედველობის პრობლემების მქონე შშმ პირის, 130 ომის ვეტერანის და მათთან გათანაბრებული პირების ოჯახებისა და 70000 ქულის მქონე ოჯახების გაზიფიკაციის ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90% თანადაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით (გაზქურამდე).

### **მატერიალური დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთ წლამდე ასაკის ახალშობილზე**

პროგრამა გულისხმობს ყოველთვიურად მატერიალური დახმარების გაწევას 70000 ქულის მქონე ოჯახების ერთ წლამდე ახალშობილზე 30 ლარის ოდენობით, ბავშვის მოვლის საშუალებების შესაძენად.

### **დროებითი ღამის თავშესაფარით უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს 45 ბენეფიციარის ღამის თავშესაფრით უზრუნველყოფას ორჯერადი კვებით (საუზმე, ვახშამი) და სუფთა ტანსაცმლით, საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია სამედიცინო მომსახურების გაწევა.